საქართველოს მთავრობის

დადგენილება №636

2020 წლის 20 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ 16^4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16^4. თბილისის მუნიციპალიტეტი, მცხეთის მუნიციპალიტეტი და იმერეთის რეგიონი

თბილისის მუნიციპალიტეტის, მცხეთის მუნიციპალიტეტისა და იმერეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე რესტორნები/ბარები/კაფეები ფუნქციონირებენ 07:00 საათიდან 22:00 საათამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 20 ოქტომბრის 22:00 საათიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**